



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი).

წევრები:

ნინო გედეხაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ირმა ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო ავალიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ



ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების	სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	დაწესებულების	206091398

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		თბილისი
ფაქტობრივი მისამართი		ქალაქი თბილისი. გუთნის ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი		0144
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://bit.ly/43A8dC8
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		Tbilisi202@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		2 77 14 83 555667709

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.04.2025 წლის ბრძანება MES 6 25 0000458197
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29,30 მაისი. 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. გუთნის ქუჩა N2 შენობა 1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. გუთნის ქუჩა N2 შენობა 1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქი თბილისი. გუთნის ქუჩა N2 შენობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29.04.2025 წლის MES 6 25 0000458197 ბრძანების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ა.წ. 29 და 30 მაისს განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლაში. მისამართი ქალაქი თბილისი. გუთნის ქუჩა N2. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლის შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს. ადგილზე ჩატარდა ინტერვიუება, სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან. ინტერვიუებისას ექსპერტებს

საშუალება ჰქონდათ მოეპოვებინათ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც დაეხმარა განხორციელებინათ შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა, სხვა საგნობრივ (სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების), ექსპერტებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებს გაუკეთა რევიზია. მისი მიგნებები აისახა საგნობრივი ექსპერტების საბოლოო შეფასებაში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა წარმოადგენს მე-4 დანართის სკოლას და ახორციელებს განვითარების შეფერხების, სენსორული და ქცევისა და ემოციური დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლის საქმიანობა გამოირჩევა მიზანმიმართული, პროფესიონალურად ორგანიზებული და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე ორიენტირებული მიდგომებით. ამ მიმართულებით სკოლას მრავალწლიანი საინტერესო და კარგი პრაქტიკა აქვს. მისი პრაქტიკა დაფუძნებულია თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და პროფესიული მხარდაჭერის პრინციპებზე, რაც ქმნის რეალურ საფუძველს მოსწავლეთა დამოუკიდებელი და ღირსეული განვითარებისათვის. სკოლას აქვს დაგროვებული მნიშვნელოვანი გამოცდილება ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნების, აუდიო და ტაქტილური მასალების გამოყენებაში, სივრცის ადაპტაციაში მოსწავლის საჭიროებების შესაბამისად. ის თავადაც ქმნის მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს. სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას განეკუთვნება მისი მზაობა გაუზიაროს სხვა სკოლებს საკუთარი გამოცდილება. ამის ერთ-ერთი მაგალითია სკოლის მიერ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხესულორის მასწავლებლებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, რომლებსაც მუშაობა უწევთ მხედველობის სირთულეების მქონე მოსწავლესთან. ეს არის კარგი პრაქტიკა იმისა, თუ როგორ შეიძლება:

- გამოცდილმა სკოლამ გააზიაროს ცოდნა და ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ეროვნულ დონეზე;
- დამყარდეს სკოლათაშორის თანამშრომლობა და შეიქმნას პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები



I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება



პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



ლონისძიებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--------------	--

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ	წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად სკოლამ უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება 2025 წლის 20 დეკემბრამდე.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მოსწავლისათვის განისაზღვროს ისგ ჯგუფი კანონმდებლობის შესაბამისად.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა	სასურველია სამოქმედო გეგმაში ყველა აქტივობასთან დაკავშირებით გაიწეროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.



	უზრუნველყოფაც რეალისტურია	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით	- სასურველია ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტში დაზუსტდეს 2.1. პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს კონკურსში მონაწილე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, დაკონკრეტდეს, რომ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს არამხოლოდ სერტიფიცირებულ პირს არამედ, 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებულ პირს და 2015 წლამდე მოქმედ მასწავლებელს და ასევე სრულად აღიწეროს 174/ნ ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციები. - სასურველია წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილში სრულად ასახოს კანდიდატის მიერ წარმოსადგენ ცნობათა ჩამონათვალი. ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლობის შესახებ (ეს უკანასკნელი მასწავლებლებისათვის).
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/ პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ	სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება არ ითვალისწინებს ანონიმური ყუთის განთავსებას სკოლის ტერიტორიაზე. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს აღნიშნული მრჩეველთა საბჭოს მიერ განსახორციელებელ პროცედურათა ჩამონათვალი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენა • სასურველია, თემატური ერთეულების ფორმულირებისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ დაწყებითი საფეხურის სტანდარტში მოცემული სარეკომენდაციო თემების ჩამონათვალით ნაცვლად სახელმძღვანელოს პარაგრაფების სათაურებისა. • ქასურველია, სამომავლოდ აწარმოონ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სამიზნე



		ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით; • კარგი იქნება კურიკულუმები გამდიდრდეს მრავალფეროვანი რესურსებით. ესთეტიკური აღზრდა ესგ-ის მიხედვით დადგენილია სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები, ცნებები და ქვეცნებები, რომელიც უნდა შეისწავლოს მოსწავლემ. შესაბამისად სასკოლო კურიკულუმში უნდა იყოს მითითებული ეს სავალდებულო კონტენტი. ხოლო, თუ, სსსმ მოსწავლეებისთვის რთული დასაძლევია ეს, მაშინ ან შენიშვნის სახით იქნას გამოტანილი კურიკულუმის ცხრილში, ან ინდ გეგმებში გაიწეროს. სპორტი სასურველია 1-6 კლასის კურიკულუმის თემები, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, გაწერონ ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით, (ჰიგიენა, სწორი/ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.) და ერთი და იგივე საკითხები არ მეორდებოდეს კლასებში
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით დაფარულია ყველა თემა, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში ასახული ყველა საკითხი მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ, ყოველთვის დაცული იყოს თემისა და საკითხების შესაბამისობა
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების	სახელმწიფო ენა სასურველია კურიკულუმში უფრო მეტად აისახოს იმგვარი სასწავლო რესურსი, რომელშიც უფრო მკაფიოდ წარმოჩინდება სკოლის სპეციფიკა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან,



	მიღწევას.	კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები მასურველია, „მე და საზოგადოების“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნების ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სახელმწიფო ენა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები უნდა დაიხვეწოს იმ მიმართულებით, რომ დავალებების შეფასების კრიტერიუმებსა და სამიზნე ცნებებს შორის კავშირი უფრო მეტად გამოიკვეთოს. მასწავლებლებს სჭირდებათ პროფესიული მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნონ ამგვარი რუბრიკების შემუშავების სპეციფიკას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: • მასურველია, „მე და საზოგადოების“ საგნის ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს რა ტიპის დავალებებითა და აქტივობებით მიიღწევა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები. • მასურველია, „მე და საზოგადოების“ საგნის ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები/მიდგომები, რომლებშიც გამოიკვეთება მიმართება საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის. • მასურველია, „ჩვენი საქართველოს“ საგნის ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმსაზღვრელი შეფასების პრინციპები/მიდგომები, რომლებშიც გამოიკვეთება მიმართება საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები მასურველია შეფასების რუბრიკები შეესაბამებოდეს იმ შედეგებსა და



	სამართლი	ინდიკატორებს, რომლის მიღწევასაც ისახავს მიზნად კონკრეტული სამუშაო ესთეტიკური აღზრდა ესგ-ის მიხედვით დადგენილია სავალდებულო თემატური ბლოკები, თუ თემები, ცნებები და ქვეცნებები, რომელიც უნდა შეისწავლოს მოსწავლემ დაწყებით საფეხურზე სწავლების მანძილზე. შესაბამისად, შეფასების რუბრიკები უნდა შეიქმნას ცნებისა და საკითხის გათვალისწინებით, თუ როგორ შეძლო მოსწავლემ ამა თუ იმ ცნების შესწავლა, გაგება და თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის დამუშავება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მათემატიკა კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით დაფარულია ყველა თემა, სასურველია, კურიკულუმში ასახული ყველა საკითხი მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ, ყოველთვის დაცული იყოს თემისა და საკითხების შესაბამისობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ვინაიდან კურიკულუმში შუალედური მიზნები წარმოადგენს მოსწავლის მიერ შესრულებულ შემოქმედებით პროდუქტს , კურიკულუმში ნათლად უნდა ჩანდეს დავალების მიზანი , რომელიც შესაბამისობაშია ცნებებთან და შედეგებთან სახელმწიფო ენა • სასურველია, სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა შეთანხმებულად იხელმძღვანელონ კურიკულუმის იმ დიზაინით, რომელიც მისაღები იქნება თითოეული მასწავლებლისთვის. • სასურველია, საკითხები ფორმულირდეს ისე, რომ მასში იკითხებოდეს არა ტექსტის სათაური(ან დავალების დასახელება), არამედ ის მთავარი ქვეცნებები, რომლებიც თემის ფარგლებში



		მუშავდება(მაგალითად, საკითხი შეიძლება ჩამოყალიბდეს ამგვარად: გ. ლეონიძის მოთხოვნა „მარიტაში“ გადმოცემული ამბის თხოვნა მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხედვის კუთხიდან). სპორტი სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილ ყველა თემაში ასახული იყოს შუალედური მიზანი და შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალზე მოსწავლის მიერ წარმოჩენილი შესასწავლი საკითხები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკა სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში, თემის გასწვრივ მიეთითოს საათობრივი დატვირთვა
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა სასურველია კურიკულუმში უფრო მეტად აისახოს იმგვარი სასწავლო რესურსიც, რომელშიც უფრო მკაფიოდ წარმოჩინდება სკოლის სპეციფიკა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	სახელმწიფო ენა შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭვირვალობისთვის მასწავლებლები უნდა დაეყრდნონ სწორედ იმ დავალებების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმში აქვთ წარმოდგენილი ან მომავალში შეიტანენ (მათ მიერ შემუშავებული რუბრიკების ნიმუშები მეტნაკლებად ზოგადი ტიპისაა, ერგება ნებისმიერ დავალებას და არა კონკრეტულს). საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს რა ტიპის დავალებებითა და აქტივობებით მიიღწევა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები. - სასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს



		დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. • ქასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმსაზღვრელი შეფასების სტრატეგიები/მიდგომები, რომლებიც ამავედროულად წარმოაჩენს მიმართებას საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის; • სასურველია, „მოქალაქეობის“ და „ისტორიის“ საგნების ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები/მიდგომები, რომლებიც წარმოაჩენს მიმართებას საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის; ესთეტიკური აღზრდა ესგ-ის მიხედვით დადგენილია სავალდებულო თემატური ბლოკები, თუ თემები, ცნებები და ქვეცნებები, რომელიც უნდა შეისწავლოს მოსწავლემ საბაზო საფეხურზე სწავლების მანძილზე. შესაბამისად, შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, აგრეთვე განმავითარებელი, უნდა შეიქმნას ცნებისა და საკითხის გათვალისწინებით, თუ როგორ შეძლო მოსწავლემ ამა თუ იმ ცნების შესწავლა-დამუშავება, გაგება და თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის დამუშავება.
ინდიკატორი <i>N2.2.2.1</i>	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	მათემატიკა სასურველის კურიკულუმით გათვალისწინებულ ძირითად და დამხმარე რესურსებში უფრო მეტად იქნეს ასახული სკოლის მოსწავლეთა სპეციფიურ საჭიროებაზე მორგებული სასწავლო რესურსები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი <i>N. 2.1.2.1</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა	მათემატიკა კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით დაფარულია ყველა თემა, მნიშვნელოვანია, კურიკულუმში ასახული ყველა საკითხი



	და განვითარების გზას;	მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ, ყოველთვის დაცული იყოს თემისა და საკითხების შესაბამისობა საბუნებისმეტყველო .ვინაიდან კურიკულუმში შუალედური მიზნები წარმოადგენს მოსწავლის მიერ შესრულებულ შემოქმედებით პროდუქტს , კურიკულუმში ნათლად უნდა ჩანდეს დავალების მიზანი , რომელიც შესაბამისობაშია ცნებებთან და შედეგებთან ფიზიკური აღზრდა სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილ ყველა თემაში ასახული იყოს შუალედური მიზანი და შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალზე მოსწავლის მიერ წარმოჩენილი შესასწავლი საკითხები.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მათემატიკა სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში, თემის გასწვრივ მიეთითოს საათობრივი დატვირთვა
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები. • სასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. • სასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს რა ტიპის დავალებებითა და აქტივობებით მიიღწევა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები. • სასურველია, „მოქალაქეობის“, „ისტორიის“, „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმსაზღვრელი შეფასების სტრატეგიები/მიდგომები, რომლებიც წარმოაჩენს მიმართებას საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით

		განსაზღვრულ შედეგებს შორის; სასურველია, „ისტორიის“ და „გეოგრაფიის“ ფარგლებში დოკუმენტურად დასტურდებოდეს განმავითარებელი შეფასების სტრატეგიები/მიდგომები, რომლებიც წარმოაჩენს მიმართებას საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია შეფასების რუბრიკები შეესაბამებოდეს იმ შედეგებსა და ინდიკატორებს, რომლის მიღწევასაც ისახავს მიზნად კონკრეტული სამუშაო
ინდიკატორი N2.2.1.5		სახელმწიფო ენა სასურველია სკოლამ წარმოდგენილი რუბრიკები დახვეწოს მიმართულებით, რომ დავალების შეფასების კრიტერიუმებსა და სამიზნეობებს შორის კავშირი უფრო მეტად გამოიკვეთოს., სასურველია სკოლა გაეწიოს პროფესიონალთა მხარდაჭერა, რათა საფუძვლიანად გაეცნონ ამგვარ რუბრიკების შემუშავებას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ქალაქ თბილისის №202 საჯარო სკოლამ 2025 წლის 25 ივნისს MES 3 25 0000746167 კორესპონდენციით წარმოადგინა, არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ხარვეზებს რიგ ინდიკატორებთან მიმართებაში და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

- **ინდიკატორი 3.1.2.1.** სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (25.06.2025 წ), სკოლის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ და სკოლის შინაგანაწესი სადაც საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის



კოდექსთან, შესაბამისობაშია მოყვანილი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო განსაზღვრული შევსებების დღეების რაოდენობა და შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები, ასევე შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველში მითითებული შრომის კოდექსის მუხლის ნომერი. ამრიგად, 3.1.2.1. ინდიკატორის შეფასება არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს შეიცვალა შეფასებით შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. შედეგად კი 3.1. კომპონენტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

- **ინდიკატორი 3.4.1.1.** სკოლამ წარმოადგინა სშს სსსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 4 25 01629987 სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად 3.4.1.1. ინდიკატორის შეფასება „არ შეესაბამება“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამება“. ინდიკატორის მეტწილი შესაბამისობა განაპირობა ამავე ინდიკატორის ფარგლებში შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის არ არსებობამ, რომლის მოპოვების ვადაც სკოლას ვიზიტის დროს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 დეკემბრამდე რაც ჯერ კიდევ ვიზიტის დროს იქნა გაზიარებული ექსპერტთა მიერ. ამრიგად 3.4 კომპონენტი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.
- **ინდიკატორი 4.1.1.1** სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელის მიხედვითაც აიღო ვალდებულება 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისშივე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/ნ (ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე) ბრძანების შესაბამისად. განსაზღვროს ისგ ჯგუფი იმ მოსწავლეებისთვის ვისთვისაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა განსაზღვრული ვიზიტის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა რეკომენდაცია 2025-2026 სასწავლო წლის დასაწყისში ყველა სსსმ მოსწავლისათვის განისაზღვროს ისგ ჯგუფი კანონმდებლობის შესაბამისად. ამრიგად 4.1.კომპონენტის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა მეტწილი შესაბამისობით.
- **ინდიკატორი 2.2.1.3.** სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები საგანში ტექნოლოგიები, რომელიც ადასტურებს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არა“ შეიცვალა შეფასებით „კი“
- **ინდიკატორი 2.1.2.5** სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შეფასების რუბრიკები საგანში ტექნოლოგიები, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების. შესაბამისად ინდიკატორის „მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს“ შეფასება „არა“ შეიცვალა შეფასებით „კი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის, ინკლუზიური განათლებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს. მისია გამოხატავს იმ ღირებულებებს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, ითვალისწინებს ყველა მოსწავლისათვის სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიცემას, მრავალფეროვნების პატივისცემას და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. რაც შეეხება სკოლის ხედვას, ის ხაზს უსვამს უსინათლო და სხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართულობას საერთო განათლების პროცესში, ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას და გამრავალფეროვნებას, რათა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. ხედვა მოიცავს მოსწავლეებში ზნეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბებას, ემპათიისა და პატრიოტიზმის განვითარებას, სკოლის განვითარების პერსპექტივას, მათ შორის: ინოვაციური მეთოდების დანერგვას, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას, სასწავლო პროცესის გამდიდრებას არაფორმალური განათლების კომპონენტებით. სკოლის მისია გამოხატავს დაწესებულების იდენტობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისიისა და ხედვის ფორმულირება ასახავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც გულისხმობს ყველა მოსწავლის თანასწორობას, უსაფრთხოებას და პიროვნულ განვითარებას. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებული მშობლების ცნობიერების

ამაღლება და მათი აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სკოლის კულტურის განვითარებას და სასკოლო საზოგადოების ინტეგრაციას, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და ინკლუზიური გარემოს შექმნას, მოსწავლეთა ზნეობრივი ჩამოყალიბება, ემპათია და პატრიოტიზმი ხელს უწყობს უსაფრთხო და ჰარმონიულ გარემოს შექმნას სკოლაში. ამრიგად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ფილოსოფიის შესამუშავებლად სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი რომელშიც ჩართო დირექტორის მოადგილე, საინფორმაციო მენეჯერი, სამეურვეო საბჭოს თავდომარე, მასწავლებლები, მშობელი და 2 მოსწავლე. ჯგუფმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები. შეიმუშავა კითხვარი. კითხვარი გააზიარდა სასკოლო საზოგადოებასთან. სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის შემდეგ ჯგუფმა შეიმუშავა ფილოსოფიის პროექტი და ისევ გააზიარა სასკოლო საზოგადოებასთან ფილოსოფიის საბლოკ ვერსიის შემუშავებამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ ფილოსოფია გააზიარა სასკოლო საზოგადოებასთან თიშის პლატფორმის მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „სკოლა“

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი;



- სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები(ოქმი N1.28.02.2025 წ. ოქმი N2. 04.03.2025 წ და ოქმი N3, 18.03.2025 წ);
- ბრძანება N2-16. 21 თებერვალი, 2025 წ. ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები), სტრატეგიული / სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (2025 წლის 28 თებერვლის ბრძანება N2-20), რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების განსაზღვრის მიზნით, მეთოდოლოგიის



მიხედვით, სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების პროექტს კი აზიარებს უკუკავშირის მისაღებად. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მეთოდოლოგიის მიხედვით განხორციელებული აქტივობები, რაც ადასტურებს მის მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრული იყო, რომ მას ამტკიცებს სკოლის დირექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №785 (2007 წლის 31 აგვისტო) - თან, რომლის თანახმადაც, სკოლის განვითარების სტრატეგია და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სამეურვეო საბჭოს. ვიზიტის პერიოდში დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი (რეალურად სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2, 19 მარტი, 2025 წელი). ვიზიტის პერიოდში სკოლამ შეიტანა ცვლილება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში (ბრძანება N2-53, 29.06.2025 წ.) და აღნიშნული ჩანაწერი მოიყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სკოლის სტრატეგიული განვითარება მოიცავს 7 ძირითად მიზანს: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, ადამიანური რესურსის განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესებას და ორგანიზაციული განვითარებას. სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულია თითოეული მიზნის შესაბამისი ამოცანები და განხორციელების ვადები.

სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების რეალიზების აქტივობებში (ერთწლიან სამოქმედო გეგმაში) ნათლად ჩანს რომ სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სკოლის მისიის აღსრულებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა არის პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში ერთწლიან გეგმაში არ არის გათვალისწინებული ყოველწლიური თვითშეფასება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, მისი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, ინდიკატორის ნაწილში სკოლას წარმოდგენილი აქვს რიგ შემთხვევაში მტკიცებულებები.

სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმაში ყველა აქტივობასთან დაკავშირებით გაწეროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-20 (28.02.2025 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. ცვლილება ბრძანებაში N2-53, 29.06.2025 წ.;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (19.03.2025 წ.);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით სტრატეგიული დაგეგმვის მეოთხე ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიის მე-12 თავით კი დაკონკრეტებულია, რომ სკოლა სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განახორციელოს არაგეგმიური მონიტორინგიც. ხოლო, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია თუ რა მონაცემები და მტკიცებულებები უნდა იქნას შეგროვებული მონიტორინგის პროცესში და როგორ უნდა იქნას გამოყენებული შეფასების შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. არ ივსება პირველადი ავტორიზაციის გამო.
3. არ ივსება პირველადი ავტორიზაციის გამო.
4. არ ივსება პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სექმატურად გამოსახული ორგანიზაციის სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა, საშტატო განრიგი და შინაგანაწესი. სკოლის სტრუქტურის ამსახველი დიაგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურასთან, შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები. სამუშაო აღწერილობები და სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია ერთმანეთთან. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათი ხელშეკრულებების, სკოლის საშტატო განრიგის, სტრუქტურის ვიზუალური სქემის და შინაგანაწესის, რომელშიც მოცემულია დასაქმებულთა უფლება - მოვალეობები, შეჯერებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებას და მიზნებს უკავშირდება და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 9 სექტემბრის ოქმი N2 (შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ);
- საშტატო განრიგი;
- სექმატურად გამოსახული ორგანიზაციის სტრუქტურა;
- Emis-ის ბაზა;
- ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ, საჯარო სკოლის წესდების, სკოლის შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (ბრძანება 2-31, 2025 წლის 7 მარტი) და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, რომელიც თავის მხრივ ზუსტდება პერსონალის უფლება-მოვალეობებში, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, ზეგანაკვეთურის, შრომის ანაზღაურების, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების გაცემის დრო და წესი და სხვა. შინაგანაწესის მე-16 მუხლით გათვალისწინებულია, რომ დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 730 კალენდარული დღის ოდენობით რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე შინაგანაწესის მე-17 მუხლი, შრომითი ურთიერთობის შეჩერების გაფორმება, განსაზღვრავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 36-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერებული შრომითი ურთიერთობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მაშინ როდესაც შრომის კოდექსში 36-ე მუხლი ეხება დასაქმებული საშვებულებო ანაზღაურებას.

ხარვეზი. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დღეების რაოდენობა და შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლები, ასევე შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველში მითითებული შრომის კოდექსის მუხლის ნომერი შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.



არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (25.06.2025 წ), სკოლის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ და სკოლის შინაგანაწესი სადაც საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსთან, შესაბამისობაშია მოყვანილი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო განსაზღვრული შვებულების დღეების რაოდენობა და შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველები, ასევე შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველში მითითებული შრომის კოდექსის მუხლის ნომერი. ამრიგად, 3.1.2.1. ინდიკატორის შეფასება არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს შეიცვალა შეფასებით შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. შედეგად კი 3.1. კომპონენტი, რომელიც სკოლის არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით შეესაბამება.

2. სკოლას აქვს საჭიროებაზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პრაქტიკული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა პროფესიული საქმიანობის სისტემურ განვითარებას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლა:

- დროულად და ადეკატურად რეაგირებს პრობლემურ შემთხვევებზე. დირექციასთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ თუ სკოლის მასწავლებელი ან თანამშრომელი ვერ ცხადდება სკოლაში/საგაკვეთილო პროცესზე ხდება მისი ჩანაცვლება შესაბამისი კადრით. მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწავლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა და წარმოადგინა შესაბამისი სამსახურეობრივი ბარათები;
- სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს, რომ იზრუნებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციაზე და რეგულარულად მოახდენს დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას რაც უზრუნველყოფს თანამშრომლის საჭიროების დროულ გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, განსაზღვრულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმითაც სასწავლო წლის მანძილზე;
- სკოლის პრაქტიკაა თანამშრომელთათვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით;
- სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს;
- სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები, დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი სახდელები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში კადრების მოზიდვისა და დასაქმების პროცესი რეგულირდება რამდენიმე დოკუმენტით. სკოლის შინაგანაწესში, თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობები, რაც ხელს უწყობს შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. მე-7 მუხლით „სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურეობრივი შეთავსება“ განისაზღვრება მასწავლებლის მიღების პროცედურები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული მასწავლებლის შერჩევის

პროცედურა არის უფრო დეტალური და განსაზღვრულია როგორც მასწავლებლის ასევე სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციები, კონკურსის ჩატარების ეტაპები და თანამდევი პროცედურები.

რჩევა. სასურველია ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტში დაზუსტდეს 2.1. პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს კონკურსში მონაწილე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, დაკონკრეტდეს, რომ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს არამხოლოდ სერტიფიცირებულ პირს არამედ, 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებულ პირს და 2015 წლამდე მოქმედ მასწავლებელს და ასევე სრულად აღიწეროს 174/ნ ბრძანებით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციები.

ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის მიერ გამოცხადებული ღია კონკურსების საფუძველზე მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის შერჩევის პროცედურა. დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად განაცხადი გაკეთებული, შექმნილი აქვს შესაბამისი კომისია და შერჩევის პროცედურები ჩატარებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისად.

შინაგანაწესის მე-6 მუხლით (წინასახელშეკრულებო ურთიერთობა) განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს კანდიდატმა. აღნიშნული ჩამონათვალი სხვა ინფორმაციასთან ერთად მოიცავს ცნობას ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და არ მოითხოვება ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და უფლების ჩამორთმევის შესახებ. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში განთავსებულია ყველა შესაბამისი ცნობა.

სკოლას მიეცა რჩევა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილში სრულად ასახოს კანდიდატის მიერ წარმოსადგენ ცნობათა ჩამონათვალი. ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და ნასამართლობის შესახებ (ეს უკანასკნელი მასწავლებლებისათვის).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (ბრძანება N2-31, 2025 წლის 19 მარტი), რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, ხოლო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმებული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან და სკოლის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის დაცვით, მათი პოზიციისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში ჩამოყალიბებულია გუნდური მუშაობის კულტურა, რაც აისახება როგორც ორგანიზაციულ მართვაში, ისე ყოველდღიურ საქმიანობაში. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და საერთო მიზნებზე ორიენტირებული მუშაობის საფუძვლებს. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს გუნდების (დისციპლინური კომიტეტი, გასაუბრების კომისია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, ფილოსოფიის დაგეგმარების ჯგუფი, ისე ჯგუფები და სხვა) ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირების შესაძლებლობას. პედაგოგიური და ადმინისტრაციული

პერსონალი ჩართულია ერთობლივი მიზნების დაგეგმვასა და განხორციელებაში, გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, გუნდის შიგნით პასუხისმგებლობების გადანაწილება არის მკაფიო და სამართლიანი, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვას. სკოლა, ასევე ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას გუნდური ფორმატით: ტარდება გუნდური ტრენინგები, სემინარები და გადამზადების სესიები სადაც მასწავლებლები გამოცდილებას იზიარებენ და ერთობლივად ავითარებენ სწავლა სწავლების პრაქტიკებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით სკოლის ერთ-ერთი აქტივობაა სასწავლო წლის მანძილზე პერსონალის მართვის მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობაა სასწავლო წლის მანძილზე წარმატებული პრაქტიკის/ცოდნის და სიახლეების გაზიარების მიზნით, შიდა სასკოლო ტრენინგების დამკვიდრება, რაც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას, თანამშრომლობის კულტურის გაღრმავებას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. წარმატებული გამოცდილების აღიარება აისახება როგორც შიდა ადმინისტრაციულ პროცესებში, ისე სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებში. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია წახალისების მექანიზმები. წარმატებული პედაგოგები ატარებენ სპეციალიზებულ საკონსულტაციო მომსახურებებს და პრაქტიკულ სესიებს როგორც საკუთარ სკოლაში, ასევე სხვა სკოლის მასწავლებლებთან საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წერილი MES 1 24 0001463259 სპეციალური მასწავლებლის დაქირავების მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო კომისიაში წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ;
- შინაგანაწესი;
- სამსახურეობრივი ბარათები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N2-31, 7 მარტი 2025 წ.);
- ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის-სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დაასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო ომისიის სხდომის ოქმი N4 (2 დეკემბერი, 224 წ.).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით (ბრძანება N2-31, 2025 წლის 7 მარტი) სკოლა იღებს ვალდებულებას სისტემატურად აწარმოოს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, რათა უზრუნველყოს დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. დასაქმებულთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენისათვის შემუშავებულია და 2025 წლის 24 მარტით დამტკიცებულია (ბრძანება N2-50) პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმა და გაკვეთილზე დასწრების შეფასების რუბრიკები. პერსონალის შეფასება ხორციელდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულების სამდონიანი ხარისხობრივი მაჩვენებლით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოსავლენად შემუშავებულია გაკვეთილზე დაკვირვების და მოსწავლის მიერ მასწავლებლის შეფასების ფორმა. პერსონალის შეფასების აქტიობები სკოლას განსაზღვრული აქვს ასევე ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, ხოლო ბიუჯეტით განსაზღვრულია „კადრების მომზადება/გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2.არ ივსება პრველადი ავტორიზაციის გამო.

3. სკოლა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშესაწყობად წარმატებით იყენებს გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას, თანამშრომელთა/მასწავლებელთა წახალისებას/მხარდაჭერას რათა მათ შეძლონ მასწავლებლის პროფესიული გამოცდის ჩაბარება ან/და სტატუსის ამაღლება. სკოლას ჰყავს მაძიებელი მასწავლებელი. 2024 წლის 5 ნოემბრის N2-76 ბრძანებით სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტუტორი და განსაზღვრული აქვს ტუტორის ვადებულება, რომელიც გამოიხატება მაძიებელი მასწავლებლის მხარდაჭერაში, მაძიებლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას გააზრებული აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესების მნიშვნელობა სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. სასკოლო საზოგადოებაში ახალი თანამშრომლის წარმატებული ადაპტაციის და პოზიტიურ სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს ახალ თანამშრომელს გააცნოს სკოლა, სკოლის თანამშრომლები და გამოუყოს მენტორი, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას სწავლების დაგეგმვასა და წარმართვაში. ადაპტაციის პროცესს თან ახლავს ინფორმაციული მხარდაჭერა. სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობა. სკოლაში მუდმვად ხელმისაწვდომია პროფესიული დახმარება და რეგულარული უკუკავშირი საქმიანობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5.სკოლას ბიუჯეტით გათვალისწინებული აქვს კადრებს მომზადება/გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სკოლა ითვალისწინებს მათ ინიციატივებს და უზრუნველყოფს მათ მიზნობრივ გადამზადებას სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტების დახმარებით. კერძოდ 2024 წელს მასწავლებლებმა საკუთარი ინიციატივით და სკოლის მხარდაჭერით გაიარეს ტრენინგები: ქცევის მართვა სასკოლო გარემოში, მშობლებთან კომუნიკაცია, განვითარება და განვითარების დარღვევები, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ბრძანება N2-31, 2025წლის 7 მარტი საჯარო სკოლის HR პოლიტიკის წესისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის წერილი MES 1 24 0001298208(09.10.2024) და MES 5 240001184028 (23.09.2024 წ) სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სახელზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა, სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მიხედვით (ბრძანება N2-29, 2025 წლის 7 მარტი), ემყარება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას და პროცესულ მიდგომას. სკოლა გეგმავს გამოიყენოს PDCA ციკლი (დაგეგმვა – განხორციელება – შეფასება – განვითარება), რაც უზრუნველყოფს მენეჯმენტის უწყვეტობას და სისტემურობას. სკოლაში, სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მმართველობითი პროცესების ნაწილში, ყოველწლიურად იქმნება სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია სკოლაში მიმდინარე ძირითადი პროცესის მონიტორინგი და შედეგებიდან გამომდინარე მისი განვითარება), მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-20, 28 თებერვალი, 2025 წელი) ასევე ითვალისწინებს სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების პერიოდულ მონიტორინგს, შეფასებას და გაუმჯობესება/განვითარებას რეკომენდაციების საფუძველზე. ძირითადი პროცესების შემთხვევაში - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის (ბრძანება N2-28, 2025 წლის 7 მარტი) მიხედვით კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა იღებს ვალდებულებას მუდმივად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზზე დაფუძნებით (კურიკულუმზე მუშაობის ეტაპები მოიცავს მის შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგს/შეფასებას და გადასინჯვას და რევიზიას), რომლებიც ეფუძნება წინა წლის შეფასებებსა და პრიორიტეტებს. რაც შეეხება დამხმარე პროცესებს, ამ ნაწილშიც მაგალითად, ადამიანური რესურსები მართვა და განვითარება ეფუძნება მათ შეფასებას, საჭიროებების გამოვლენას და შესაბამის მხარდაჭერას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ 2025 წლის 7 მარტს N2-29 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც მე-4 მუხლით განსაზღვრულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება 2-43, 19 მარტი, 2025წ). წესით განსაზღვრულია საჩივრის და განცხადების წარდგენის პროცედურა, განხილვის ვადები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების და შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრების წესი. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად არჩეულია დისციპლინური კომიტეტი (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი , 17 ოქტომბერი , 2024 წელი). სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს. გადაწყვეტილება, რომელიც გამოიყენა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, მოცემულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა, აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის რაც უზრუნველყოფს მის ცნობადობას. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი გეგმა;
- დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება 2-43, 19 მარტი, 2025წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-20, 28 თებერვალი, 2025 წელი);
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის (ბრძანება N2-28, 2025 წლის 7 მარტი).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს თიმისის პლათფორმას, რომლის საშუალებითაც ხდება უკუკავშირის მიღება. მიღებული უკუკავშირი მუშავდება და გამოიყენება პროცესების განვითარებას მიზნით. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ასრულებს

საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ამასთან სკოლა მშობლებთან ინფორმირების მიზნით იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს და სატელეფონო შეტყობინებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2 სკოლის კოლეგიური ორგანოები (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კომისია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების ოქმების ანალიზით იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თიშის პლათფორმა;
- კოლეგიალური ორგანოების ოქმები;
- ბრძანება N2-57 (29.05.2025 წ.)საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების



შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია შემოღობილია და შეზღუდულია სკოლის ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური წარმოდგენილი 1 მანდატურით. სკოლის შენობის და ეზოს 24 საათიან დაცვას უზრუნველყოფს შპს „შერიფი“. სკოლას 2025 წლის 19 მარტის N2-36 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული და სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ასევე ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N2-15 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ (21 თებერვალი, 2025 წ.)). ცვლილება ბრძანებაში N2-34 (19 მარტი, 2025 წ.).

სკოლის მფლობელობაში არის სამგზავრო/შშმ KP 901 “POLTIME” ლიფტი, რომელიც შეესაბამება საქართველოს მთავრობის N289 დადგენილებით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებს (უსაფრთხოების სერტიფიკატი გაცემულია 2023 წლის 27 ივლისს და მოქმედებაშია 2026 წლის 27 ივლისამდე). სკოლას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თხოვნით გაგზავნილი აქვს განცხადება 2025 წლის 25 აპრილს. საგანგებო შტაბი დამტკიცებული აქვს 2025 წლის 21 თებერვალს.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას ასევე არ აქვს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში 30.05.2025 მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორს წერილით (MES 4 25 0000603968) სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის შესახებ. ამასთან თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც უფლებამოსილ ორგანოსგან/პირისგან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას გეგმავს მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე. ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2025 წლის 20 დეკემბრამდე შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების თაობაზე და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. **სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება 2025 წლის 20 დეკემბრამდე.**

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, სკოლას დოკუმენტი შემუშავებული და გაგზავნილი აქვს შესათანხმებლად შსსს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან. 29/05/2025 წ. წერილი MES 8 25 0000590769. ვიზიტის პერიოდში აღნიშნული გეგმა შეთანხმებული არ იყო

ხარვეზი:

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

ინდიკატორი 3.4.1.1. სკოლამ წარმოადგინა სშს სსსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი MIA 4 25 01629987 სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად 3.4.1.1. ინდიკატორის შეფასება არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება ვინაიდან ამავე ინდიკატორის ფარგლებში სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის მოპოვების ვადაც სკოლას ვიზიტის დროს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს 2025 წლის 20 დეკემბრამდე რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა მიერ და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაცია. ამრიგად 3.4 კომპონენტი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება შეიცვალა შეფასებით მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი ადამრების აღმოჩენას. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის MES 0 240001675163 ბრძანების (31.12.2024 წ) შესაბამისად სკოლას გამოეყო დამატებითი დაფინანსება სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისათვის. სკოლას 2025 წლის 7 მარტის N2-25 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სათანადო კალიფიკაციის ექიმთან, რომელსაც აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიაში. ხელშეკრულება გაფორმებულია 2020 წელს.

ექიმის კაბინეტი განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე და აღჭურვილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ექიმი აღრიცხავს მიღებულ/შემოსულ მედიკამენტებსა და მასალებს, ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან ჯანსაღი ცხოვრების წესებსა და ყოველდღიურ თავის მოვლაზე, აწარმოებს ჟურნალებს „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა“, „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა“, „სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი“ და „სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა“. ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია. ექიმი ახდენს სველი წერტილების ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლს.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3 . სკოლას - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. -ის საფუძველზე შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას.

მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და შედგება სკოლის დირექტორის, მანდატურის, სამეურვეო საბჭოს თავჯდომარის, პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავჯდომარის, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავჯდომარის და რესურსცენტრის წარმომადგენლისგან. სკოლამ წარმოადგინა ბრძანება N2-34 (19.03.2025წ.) მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ, რომლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია მრჩეველთა საბჭოს მიერ განსახორციელებელი „პროცედურები“, რომელთა შორისაც არის სასკოლო საზოგადოების მიერ ანონიმურ ყუთში განთავსებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული წერილების განხილვა და მასზე რეაგირება.

რჩევა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება არ ითვალისწინებს ანონიმური ყუთის განთავსებას სკოლის ტერიტორიაზე. სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს აღნიშნული მრჩეველთა საბჭოს მიერ განსახორციელებელ პროცედურათა ჩამონათვალი.

სკოლაში აღნიშნული საბჭოს ფუნქციონირება დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საბჭოს სხდომის ოქმებით.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას ემსახურება 6 ფსიქოლოგი, 5 მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, 1 ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, 12 სსსმ პირის ასისტენტი, 2 ოკუპაციური თერაპევტი, 1 ფიზიკური თერაპევტი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი. ფსიქოლოგი აკვირდება და აანალიზებს ბავშვების ინდივიდუალურ თავისებურებებს, აღწერს და აფასებს სსსმ მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ფუნქციურ უნარებს. კონსულტაციებს უწევს მოსწავლის მშობელს/ „კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის და საჭიროების შემთხვევაში ქცევის მართვის სტრატეგიებზე. ეხმარება მასწავლებლებს სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობაში. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, სადამრიგებლო პროგრამა ითვალისწინებს მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, როგორც ღირებულებების განვითარებას. სკოლის შენობაში (ფოიე, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა) და სკოლის ეზოში არსებული სივრცეები, გამოიყენება სხვადასხვა აქტივობებისთვის/არაფორმალური თუ ფორმალური

ღონისძიებებისთვის რაც მოსწავლეებში სოციალური ურთიერთობების გამყარებას უწყობს ხელს. მოსწავლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლა მიმართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. მათ შორისაა, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის მიერ ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით ჩატარებული ტრენინგები თემაზე: „ბულინგი და განსხვავება ბულინგსა და უწყინარ ხუმრობას შორის“, „სიძულვილის ენა და კიბერბულინგი“ „ბულინგის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას “ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების წესის“ (ბრძანება N2-36, 2025 წლის 19 მარტი) მე-9 მუხლით განსაზღვრული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები განსაზღვრავს ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიურ და გენერალურ დასუფთავების ნორმებს/მოთხოვნებს. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სველ წერტილებში დაცულია პირადი ჰიგიენის დაცვისათვის შესაფერისი პირობები. სკოლის ყველა სართულზე არის სველი წერტილი გოგონებსათვის და ვაჟებისათვის. სკოლას აქვს საშხაპეები და ადაპტირებული სველი წერტილები შშმ პირებისთვის. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლა წელიწადში ერთხელ ახდენს სასმელი წყლის ლაბორატორიულ შემოწმებას. სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებას ემსახურება 1 მეზადე-მეზოვე და 5 დამლაგებელი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N05 (14 იანვარი, 2025 წ) შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურება“- სთან. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სკოლაში სადეზინფექციო, სადერატიზაციო და სადეზინსექციო სამუშაოების ჩატარება, შესაბამისად სკოლაში რეგულარულად ტარდება სადეზინფექციო-პროფილაქტიკური სამუშაოები (დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას 2025 წლის 24 მარტის N2-44 ბრძანებით განსაზღვრული აქვს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხი. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს-ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის 2025 წლის 21 მარტის N315948 ბრძანებით. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ.გვერდზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა ინიციატორული პერსონალური შეთანხმებების გაფორმება მშობლებთან /კანონიერ წარმომადგენლებთან, დასაქმებულებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, ახორციელებს დასაქმებულ პირთა და მოსწავლეთა ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე. სკოლაში გამოიყენება მხოლოდ ლიცენზირებული პროგრამები, სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე. განსაზღვრულია ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი.

ინდკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-34. მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- ბრძანება N2-44 (24 მარტი, 2025 წ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ;
- შპს „სადეზინფექციო -პროფილაქტიკური მომსახურება განრიგები;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N05 (14 იანვარი, 2025 წ) გაფორმებული შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურება“- სთან;
- შპს „ეტალონი“. საგამოცდო ლაბორატორიის დასკვნა;
- ხელშეკრულება N12 (20 იანვარი, 2025წ) გაფორმებული შპს „შერიფი“-თან 11 თვიანი ხელშეკრულებაზე შენობის და ეზოს 24 საათიანი დაცვის მომსახურების შესყიდვაზე;
- საშტატო განრიგი;
- ხელშეკრულებები;
- ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი N891-23;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში. გუთნის ქუჩა N2 -ში. ის განთავსებულია 4415 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.17.01.125.067). აღნიშნულ მისამართზე განთავსებულია 9 შენობა ნაგებობა. კერძოდ, სამსართულიანი შენობა ნაგებობა: N1 საერთო ფართობით 3509.8 (მ/შ სარდაფი -136.76კვ.მ., I სართული - 770.75კვ.მ., II სართული 780.98კვ.მ. , III სართული 791.95 კვ.მ., სხვენი - 1049.36კვ.მ.), ორსართულიანი შენობა N2 საერთო ფართობით 167.99კვ.მ. (მ/შ I სართული - 82.37კვ.მ., II სართული 85.62კვ.მ.), N3 საერთო ფართობით -3.23კვ.მ., N4 საერთო ფართობით - 16.89კვ.მ., N5 საერთო ფართობით - 49.45კვ.მ., N6 საერთო ფართობით 4.81კვ.მ., N7 საერთო ფართობით - 60.60კვ.მ., N8 საერთო ფართობით 5.54კვ.მ., N9 საერთო ფართობით - 9.48კვ.მ.

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ აღნიშნული ფართის მოსარგებლეა სსიპ „ქალაქ თბილისის უსინათლო ბავშვთა N202 საჯარო სკოლა" ს.კ.206091398.

აღნიშნული შენობებიდან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს N1 შენობაში, დანარჩენი შენობებიდან ერთი გამოიყენება ტექნიკური და დასუფთავების საშუალებების შესანახად. 1 გამოიყენება დაცვისთვის, 3 შენობა არის სარეაბილიტაციო და დანარჩენი შენობები დაკეტილია. უფუნქციოა ამ ეტაპისათვის.



სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ შენობაში არის 14 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტები, 2 რესურს ოთახი, ოთახები ინტეგრირებული კლასებისათვის, სააქტო დარბაზი, მცირე სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, მანდატურის ოთახი, ოთახები ადმინისტრაციისათვის. მესამე სართულზე გამოყოფილია ოთახები პანსიონური მომსახურებისათვის. სკოლას საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი (მერხები, სკამები, კომპიუტერები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვილობა და სხვა)

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, მინი სპორტული დარბაზი (დიდი ზომის საკლასო ოთახი), სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, დერეფნები და ფოიეები, IT ლაბორატორია და სასადილო თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის. პედაგოგებსა და ადმინისტრაციას აქვს შესაბამისი სამუშაო სივრცეები (სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა). სკოლას აქვს საშუალება შეხვედრებსა და აქტივობებში ჩართოს/ღონისძიებებზე მოიწვიოს მშობლებიც. სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები: სკოლის ეზო, დერეფნები, კომპიუტერული კლასი, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი და დარბაზი სადაც მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის კომუნიკაციისა და სოციალიზაციისათვის კარგი გარემოა. მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-41, 19 მარტი, 2025 წ) და ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული რესურსების გამოყენების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების უწყვეტ და ხელმისაწვდომ მიწოდებას მოსწავლეებისა და სკოლაში დასაქმებულთათვის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის შესაბამისად (ბრძანება N2-26, 2025 წლის 7 მარტი), რომლითაც განსაზღვრულია საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის წესი, საბიბლიოთეკო დარბაზში ქცევის წესი. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია სახელმძღვანელოები, მათ შორის ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები და სახელმძღვანელოები, აუდიო სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. წიგნები (რომელიც არ არის ბრაილის შრიფტით დაწერილი) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მოსწავლეები დარეგისტრირებულები არიან ბიბლიოთეკაში, წიგნებზე გაკეთებულია ფორმულარები

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ინკლუზიური პრინციპების შესაბამისად, თავისი ინფრასტრუქტურით ქმნის ყველა მოსწავლისათვის თანაბარ ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს. სკოლაში, პირველი სართულის ფოიეში მოწყობილია პანდუსი და შემდეგ უკვე სართულებზე გადასადგილებლად დამონტაჟებულია ლიფტი, რომლებიც უზრუნველყოფს შშმ მოსწავლეების თავისუფალ

გადაადგილებას. სპეციალურად ადაპტირებული სველი წერტილები, ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ასევე ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასწავლო პროცესისა და სკოლის როგორც სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში. ის ქმნის სივრცეს, სადაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები ურთიერთობენ, აზიარებენ ღირებულებებს და ავითარებენ სოციალურ უნარებს. სკოლის სივრცეები: ნათელი და ფართო ფოიე ყველა სართულზე, საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი გამწვანებული ეზო, სააქტო და სპორტული დარბაზები, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მშობლებს საშუალებას აძლევს არაოფიციალური კომუნიკაციისათვის. აღნიშნული სივრცეები გამოიყენება კულტურული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებებისთვის, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც ავითარებს მათ კრიტიკულ აზროვნებას და მოქალაქეობრივ თვითშეგნებას. ამრიგად, სკოლის ინფრასტრუქტურა მოცემულ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ფიზიკური სივრცე და სასწავლო პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა - იგი ქმნის პირობებს თანამშრომლობისთვის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისთვის, კულტურული თვითგამოხატვისთვის და სოციალური კავშირების გაღრმავებისთვის. აყალიბებს საერთო ღირებულებებს, კულტურულ იდენტობას და ემსახურება სკოლის საზოგადოების განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-41, 19 მარტი, 2025 წ.);
- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. აღნიშნული ინფრასტრუქტურის ეფექტურად და ეფექტიანად ადმინისტრირებისათვის სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-41, 19 მარტი 2025 წელი). სკოლაში არსებული ყველა ტექნიკური საშუალება დაცულია პაროლებით და ვირუსებისგან დაცვის პროგრამებით. სკოლის მფლობელობაშია 25 კომპიუტერი, რომლებიც განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, სამასწავლებლოში, ადმინისტრაციის ოთახებში, ექიმის ოთახში, ბიბლიოთეკაში და ლაბორატორიებში. ამრიგად სკოლას აქვს პროგრამულად გამართული ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისთვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი. კაბინეტში განთავსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს, სკოლა უზრუნველყოფს სტაბილური ინტერნეტით ყველა მნიშვნელოვანი სივრცის (ადმინისტრაცია, კაბინეტები, ბიბლიოთეკა) დაფარვას. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინსტრუქციები და ტექნიკური მხარდაჭერა აღნიშნული რესურსების გამოყენებისთვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-41, 19 მარტი 2025 წ.);
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის 2025 წლის 7 მარტის N2-27 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად და ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე, მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით მიღებულ დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - eflow-ს; სკოლის დირექტორის ბრძანებები შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დირექტორის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის - ბრძანების სახით, ბრძანებების ფორმა შეესაბამება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების შედგენის წესებს. სკოლის თანამშრომლები რეგულარულად აწვდიან შემოსულ და გასულ დოკუმენტებს კანცელარიას შესაბამისი რეგისტრაციისათვის. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა ზრდის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის. სკოლაში შემუშავებულ ან/და შემოსულ დოკუმენტებს აქვს რეგისტრაციის თარიღი, ნომერი, ადრესატი და ხელმოწერა. სკოლაში დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში დადგენილია ერთიანი სახის ბლანკი - სატიტულო ფურცელი, რომლის გამოყენებითაც ხდება ბრძანებების, წერილების, ცნობების გაფორმება. სკოლის სატიტულო ფურცელი რეგისტრირებულია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონულ ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში და ვებგვერდი <https://bit.ly/43A8dC8>, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობისა და სხვა აქტივობების შესახებ, რაც ლოგიკურადაა დაჯგუფებული და დასათაურებული.
3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.
4. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 7 მარტის N2-27 ბრძნებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის (skolebi.emis.ge ზე) და სოციალური ქსელის <https://www.facebook.com/profile.php?id=100057512316914> საშუალებით. გარდა აღნიშნულისა სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის იყენებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს, სატელეფონო ზარებს, ელექტრონულ ჟურნალს, ღია კარის დღეებს, მშობელთა კრებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ვებ.გვერდის ანალიზით დგინდება რომ, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლას ბრძანება N2-19 (25.02.2025 წ) განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის უტყუარობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

4. სკოლაში სწავლების ენა არის ქართული. სკოლას აქვს მარტივი ნავიგაციის ვებგვერდი, <https://skolebi.emis.ge>-ზე, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს ვებგვერდი skolebi.emis.ge-ზე. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიცავს სკოლის ფილოსოფიას, სტრუქტურას, სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, მოსწავლის მხარდამჭერ სერვისებს, ქცევის წესებს, აპელაციის მექანიზმებს, სტატისტიკურ ინფორმაციას მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობაზე, საგანმანათლებლო სტატუსს, საკონტაქტო ინფორმაციას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში მყოფი სკოლისთვის არ განიხილება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-57 (29.05.2025წ) საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი;

- ვებგვერდი;
- ბრძანება N2-19 (25 თებერვალი, 2025 წ.) ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სოციალური ქსელი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შემოსავალს წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან მიღებული ვაუჩერული და თვითმმართველი ერთეულის სსიპ - დან მიღებული დაფინანსება. სკოლის ერთწლიანი გეგმისა და ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ არსებული შემოსავლები უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის გამოცდილება. ფინანსურ საქმიანობას ახორციელებს ბუღალტერი. როგორც სკოლის დირექციასთან ინტერვიუთი დადგინდა ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის წარსადგენად. სკოლამ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგების

დოკუმენტი 2024 წლის 01 იანვრიდან - 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის. სკოლა ვადების დაცვით წარადგენს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას რესურსცენტრში (წერილი 19 აპრილი 2025 , წერილი MES 9 25 0000566857)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- წლიურ ფინანსური ანგარიში;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ბიუჯეტი;
- სამეურეო საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

